

წინამდებარე დოკუმენტი დამტკიცებულია
ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ
2019 წლის 3 აპრილის სენატის დადგენილების საფუძველზე. ოქმი N08



შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის

მართვის ორგანოებში შერჩევის წესი

მუხლი 1.

შპს - შპს - ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი (შემდგომში სასწავლებელი) მართვის ორგანოებში შერჩევის წესი (შემდგომში წესი) შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, სასწავლებლის წესდების, შინაგანაწესისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2.

ამ წესის მიზანია სასწავლებლის მართვის ორგანოებში შერჩევა მოხდეს გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპების დაცვით.

მუხლი 3.

სასწავლებლის გენერალური დირექტორი თანამდებობაზე ინიშნება სასწავლებლის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით.

მუხლი 4.

სასწავლებლის სხვა მართვის ორგანოებში დანიშვნა ხდება სასწავლებლის წესდების შესაბამისად გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით, ამ წესით დადგენილი პროცედურებისა და შერჩევის კრიტერიუმების დაცვით (გარდა სასწავლებლის სენატის დებულებით გათვალისწინებული წესისა).

მუხლი 5.

მართვის ორგანოებში ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში სასწავლებლის გენერალური დირექტორი ქმნის კომისიას, რომელიც გენერალურ დირექტორს წარუდგენს რეკომენდაციებს მართვის ორგანოებში დანიშვნასთან დაკავშირებით. კომისიის შექმნის შესახებ ინფორმაცია განთავსდება სასწავლებლის ვებ გვერდზე.

მუხლი 6.

სასწავლებლის ვებ გვერდზე ინფორმაციის განთავსების შემდეგ დაინტერესებულ პირებს ექმნებათ შესაძლებლობა შემოიტანონ განაცხადი მართვის ორგანოში დანიშვნასთან დაკავშირებით.

მუხლი 7.

კომისია კანდიდატის შერჩევისათვის ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს:

- ა) კვალიფიკაცია;
- ბ) სამუშაო გამოცდილება;
- გ) კანდიდატის ხედვა და გეგმა.

მუხლი 8.

შერჩეული კანდიდატის დანიშვნის რეკომენდაცია სასწავლებლის გენერალურ დირექტორს გადაეცემა კომისიის მუშაობის დასრულების შემდგომ.

მუხლი 9.

კომისიის შექმნის, მუშაობის ვადებისა, შერჩევის დამატებითი კრიტერიუმების და გადაწყვეტილების მიღების წესის შესახებ განისაზღვრება გენერალური დირექტორის ბრძანებით კონკრეტული ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 10.

ეს წესი ამოქმედდეს 2019 წლის 1 სექტემბრიდან.